დურუჯი

ქართული თეატრი– იანვრის 29...

დღე დურუჯის... დღე ისტორიული...

წარსული წელი—წალეკვა, სამარე ძველის!..
განვლილი წელი ზეიმი. ობა, **დურუჯის**...
დურუჯი—შოლტი, მძლავრ ხელში აელვარებული...
დურუჯი—ქმედება, ისტორიულ კუნთებში ამოხეთქილი,..

* * *

ძველი თეატრი—გაძაფრულ, მხატვრულ, ნაყმევ კულტურის ანარეკლი...
საკუთარ ეროვნულ „მე-"ობას მოკლებული...
მეშჩანურ სულისკვეთებით მოსულდგმულე, უსახო, უპრომბლემო...
ძველი თეატრი 75 წლის განმავლობაში ძველი რუსეთის პროვინციალურ ხალტურის ბუტაფორია.
დურუჯი ამზადებს მასზე ახალ ნეკროლოგს.
დურუჯის მიზეზით „მჭიდროთ შეკავშირებულნი" ბებერი კამბეჩები, თეატრში ზოგიერთ საქველმოქმედო მიზნით მოსულ მეშჩანებთან ერთად, კვლავ ემზადებიან თეატრალურ დილეტანტიზმის დასამყარებლად საქართველოში.
დურუჯი სალი კლდეა მათ წინააღმდეგ ამართული.
დურუჯი შოლტია მათვის შეუბრალებელი.

* * *

რევოლიუციაა დურუჯი.
დურუჯი — ახალი ეპოქაა ქართულ თეატრის.
თეატრი საკუთარის კულტურით.
თეატრი—ქართველთა რასის რიტმით, მეტყველებით, ტემპერამენტით და ემოციით ნაქსოვი.
ქართული თეატრი—საკუთარი ნებისყოფით გამოკვეთილი.
ქართული თეატრი—საკუთარი „მე"-ობის მატარებელი.
ქართული თეატრი—საკუთარ პრობლემებით მსოფლიოში.
ქართული თეატრი—ეპოქის სულისკვეთების ამსახველი.
ქართული თეატრი—სალი კლდე საკუთარ კუნთებზედ ამართული.

* * *

არტისტი—ეპოქის რიტმით გამართული.
არტისტი—რასიულ დინამიკით აღტლინებული.

* * *

დურუჯი, კულტურაა ახალი ნებისყოფის ხელოვნებაში.
დურუჯი, რწმენაა საკუთარ უნარის, საკუთარ ღირსების ხელოვნებაში.
დურუჯი, **სამარეა მონურ კულტურის.**
დურუჯი, **მაჯისცემაა ახალ რევოლიუციონურ ეპოქის.**
დურუჯი, **საყვირია ახალ ხელოვნების საქართველოში.**
დურუჯმა, ჰპოვა მეგობრები: დრამატურგები, მხატვრები, მუსიკოსნი, მზეთ მოსული ახალგაზდობა.

ყველა ხელოვანთ!

ვინც დაჭიმულ ნერვებით განიცდის აღტლინებას საკუთარ კულტურის,
ვინც გრძნობს ახალ რევოლიუციონურ ეპოქას და ამ ეპოქის აპოთეოზში ლამობს ქართველ ხალხის გრძნობათა აჟღერებას,
დურუჯი უხმობს მათ, ნაფიც ძმად ყოფნას.
დარაზმული **დურუჯი** მარჯნის ფერ მზის სხივებით, თავის კენტავრს შემორკალული, მოუწოდებს ფოლადის ნებით, რკინის ყალიბში ჩამოსხმულ დისციპლინით, გულწრფელი შრომით ახალ კულტურისაკენ საქართველოში.
მაშ წინ!..
ვიხილოთ ახალგაზდა საქართველო საკუთარ კულტურით მსოფლიო ჰორიზონტზე ამობრწყინებული.

ქართველ არტისტთა კორპორაცია დურუჯი.

1925 წლის, იანვრის 29.

თბილისი.